შპს „მთავარი არხის“ დირექტორებს
ბატონ გოგი ქურდაძეს,
ბატონ გიორგი გაბუნიას,
ბატონ მანუჩარ ახალაიას,

შპს „ნიუ სეილსის“ დირექტორისა და 100 %-იანი წილის მფლობელის
თეა გვარამიას

<u>პოზიცია</u>

-

შპს „მთავარი არხის“ ერთერთი დირექტორის გოგი ქურდაძის 2024 წლის 10 სექტემბრის წერილობით მომართვაზე

ბატონებო,

2024 წლის 10 სექტემბერს ელექტრონულ ფოსტაზე მივიღე შპს „მთავარი არხის“ ერთერთი დირექტორის გოგი ქურდაძის ტექსტი (შემდგომში ტექსტი), მიმართვის ფორმით, რომლის ერთ-ერთი ადრესატი ვარ მე, ტექსტის მე-3, მე-4, მე-5, მე-6 და მე-8 პუნქტებში გაჟღერებული პრეტენზიები მომართულია შპს „ნიუ სეილსისადმი“.
თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტში გაჟღერებული ინფორმაცია რიგ შემთხვევებში არ შეესაბამება რეალობას, ხოლო ტექსტში შპს „ნიუ სეილსისადმი“ გაჟღერებული პრეტენზიები უსამართლოა.
მიუხედავად იმისა, რომ შპს „მთავარი არხი“, რომლის ერთერთი დირექტორიც არის ბატონი გოგი, სრულად არის ინფორმირებული შპს „ნიუ სეილსთან“ დაკავშირებით ტექსტში წამოჭრილ საკითხებზე, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, მოგახსენებთ შემდეგს:

პოზიცია ტექსტის მე-3 პუნქტთან დაკავშირებით

შპს „მთავარ არხსა“ და შპს „ნიუ სეილსს“ შორის გაფორმებული სარეკლამო დროის ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულებებისა და მისი დანართების მიხედვით, შპს „ნიუ სეილსი“ ვალდებულია გადაუხადოს შპს „მთავარ არხს“ სარეკლამო დროის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლის 89 % დღგ-ს ჩათვლით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საბაზისო პრინციპების გათვალისწინებით (თუ კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების ბუნებიდან არ გამომდინარეობს, რომ მოვალემ

პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულება, მაშინ ეს ვალდებულება შეიძლება შეასრულოს მესამე პირმაც), შპს ,,მთავარი არხი“ უფლებამოსილია შპს ,,ნიუ სეილსს“ შეუთანხმდეს, რომ შპს ,,ნიუ სეილსმა“ შპს ,,მთავარი არხისადმი“ არსებული ვალდებულების ფარგლებში, მოახდინოს შპს ,,მთავარი არხის“ ვალდებულების შესრულება ან/და შპს ,,მთავარ არხთან“ შეთანხმებით კონკრეტული პირისთვის თანხის გადარიცხვა. მაიკლს აქვს ლებრონის ვალი, ლებრონს კი აქვს შაკის ვალი, ლებრონი სთხოვს მაიკლს ნიკოლას გადაუხადოს მისთვის მისაცემი თანხა, რა არის აქ არალეგალური ?

უნდა აღინიშნოს, რომ :

ა. ყველა მსგავს გადარიცხვას წინ უსწრებს წერილობითი შეთანხმება შპს ,,მთავარ არხსა“ და შპს ,,ნიუ სეილსს“ შორის, რაზეც ბუნებრივია ინფორმაცია დაცულია შპს ,,მთავარ არხში“, რომლის დირექტორიც არის ბატონი გოგი ქურდაძე;

ბ. ყველა მსგავსი გადარიცხვის ამსახველი დოკუმენტი (საგადახდო დავალება) იგზავნება შპს ,,მთავარ არხში“, რომლის დირექტორიც არის ბატონი გოგი ქურდაძე;

გ. არცერთი მსგავსი გადარიცხვა არ ეწინააღმდეგება ქართულ კანონმდებლობას;

დ. ყველა მსგავსი გადარიცხვა შპს ,,ნიუ სეილსის“ მხრიდან ხორციელდება იმ დაშვებით, როგორც ეს შეთანხმებებშია ჩამოყალიბებული, რომ გადარიცხვა ემსახურება შპს ,,მთავარი არხის“ საჭიროებებს, რომლის დირექტორიც არის ბატონი გოგი ქურდაძე;

შპს ,,მთავარი არხის“ ინკასოს საკითხი მოცემულ შემთხვევაში შპს ,,ნიუ სეილსისთვის“ არ არის რელევანტური. საგადასახადო ვალდებულება წარმოადგენს ვალდებულების ერთერთ სახეს, შესაბამისად გადამხდელის, ამ შემთხვევაში შპს ,,მთავარი არხის“, რომლის დირექტორიც არის ბატონი გოგი ქურდაძე, პრეროგატივაა, როდის რომელ ვალდებულებას დაფარავს, რაშიც შპს ,,ნიუ სეილსი“ ბუნებრივია ვერ ჩაერევა.

პოზიცია ტექსტის მე-4 პუნქტთან დაკავშირებით

როგორც უკვე აღვნიშნე, შპს ,,ნიუ სეილსი“ შპს ,,მთავარ არხთან“ ურთიერთობაში ხელმძღვანელობს ხელშეკრულებებით, მათი დანართებით და მათ საფუძველზე გაფორმებული შეთანხმებებით, რასაც კეთილსინდისიერად ასრულებს წლებია.

რაც შეეხება შპს ,,მთავარი არხის“ კორპორატიულ სტრუქტურას, დირექტორთა ერთობლივი თუ ინდივიდუალური უფლებამოსილებების ფარგლებს და წარმომადგენლობითი ფუნქციის სრულყოფილების ხარისხს, ეს შპს ,,ნიუ სეილსის“ პასუსხისმგებლობის სივრცის მიღმაა. თუ შპს ,,მთავარი არხის“ დირექტორთა შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა შპს ,,ნიუ სეილსთან“ გაფორმებული შეთანხმებების ნაწილში, ეს საკითხი დირექტორთა შორის უნდა დარეგულირდეს, ხოლო ისინი თუ საერთო ენას ვერ პოულობენ, კომპანიას ყავს დამფუძნებლები, ვისაც შეუძლია ამ სირთულეების აღმოფხვრა.

შესაბამისად მე-4 პუნქტში წამოჭრილი საკითხის ადრესატი შპს ,,ნიუ სეილსი“ ვერ იქნება.
რაც შეეხება დოკუმენტაციასთან წვდომას, უცნაურია, შპს ,,მთავარი არხის“ ერთერთი დირექტორი შპს ,,ნიუ სეილსისგან“ ითხოვდეს იმ დოკუმენტების წარდგენას, რაც შპს ,,მთავარ არხსვე“ გააჩნია. არსებობს არაერთი შემთხვევა, როდესაც შპს ,,ნიუ სეილსი“ ბატონი გოგის ელექტრონულ ფოსტაზეც გზავნიდა დოკუმენტაციას.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, შპს ,,ნიუ სეილსი“ მზადაა ბატონ გოგის მიაწოდოთ აღნიშნული ინფორმაცია, რაც უკვე ისედაც გააჩნია შპს ,,მთავარ არხს“ და პირადად მას. ეს ინფორმაცია წარმოებს უკვე რამდენიმე წელია, მისი ხელახლა მოწოდება გარკვეულ დროსთანაა დაკავშირებული, შესაბამისად ვიწვევთ ბატონ გოგის შპს ,,ნიუ სეილსის“ ოფისში, სადაც ექნება ამ ინფორმაციასთან წვდომისა და ასლების გადაღების შესაძლებლობა, შპს ,,ნიუ სეილსსა“ და შპს ,,მთავარ არხს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებებისა და დანართების ფარგლებში.

პოზიცია ტექსტის მე-5 პუნქტთან დაკავშირებით

შპს ,,ნიუ სეილსის“ შპს ,,მთავარ არხთან“ ფინანსურ ურთიერთობებს აწესრიგებს ჩვენს შორის გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულებები, მისი დანართები და შეთანხმებები. შპს ,,ნიუ სეილსს“ არც იურიდულად და არც ფინანსურად არ აქვს რაიმე კავშირი შპს ,,მთავარი არხის“ სალაროს ბრუნვასთან.
შესაბამისად შპს ,,მთავარი არხის“ სალაროში შესული და მისი სალაროდან განკარგული თანხების შესახებ ინფორმაცია ბატონმა გოგიმ უნდა მოიძიოს იმ კომპანიაში, რომლის დირექტორიც თავად არის.
შპს ,,ნიუ სეილსი“ ვერ იქნება ამ მოთხოვნის ადრესატი.

რაც შეეხება მეხუთე პუნქტში გაჟღერებულ ინფორმაციას, რომ შპს ,,ნიუ სეილსი“ შპს ,,მთავარი არხის“ სალაროს შემოსავლებზე დაყრდნობით ახორციელებს გადარიცხვებს, მტკნარი სიცრუეა. ჩემთვის გაუგებარია, რატომ გააჟღერა ბატონმა გოგიმ ეს ტყუილი, რისი მხილებაც ძალიან მარტივია.

შპს ,,ნიუ სეილსის“ შემოსავლები (საბანკო ანგარიშზე შესული თანხები) შემდეგია:
ა. სარეკლამო დროის რეალიზაციის შედეგად მიღებული ჩარიცხვები;
ბ. დამფუძნებლის სესხი (230 900 აშშ დოლარი, 7 000 ევრო);
დ. სესხი მიკროსაფინანსოდან (80 000 ლარამდე);
ე. კაპიტალში შენატანი 46 802 ლარი;
შპს ,,ნიუ სეილსის“ მიერ განხორციელებული გადარიცხვები არ აღემატება მის შემოსავლებს. შესაბამისად არ რჩება სივრცე სპეკულაციისთვისაც კი, რომ შპს ,,მთავარი არხის“ სალაროსთან რაიმე კავშირი ქონდეს შპს ,,ნიუ სეილსს“.

დაბეჯითებით ვაცხადებთ, რომ შპს ,,ნიუ სეილსს“ შპს ,,მთავარი არხის“ სალაროდან არ მიუღია არცერთი თეთრი.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ შპს ,,ნიუ სეილსის“ მიერ შპს ,,მთავარ არხთან“ შეთანხმების საფუძველზე გადარიცხული თანხების ჯამური მაჩვენებლები შესაბამისობაშია შპს ,,ნიუ სეილსის“ სახელშეკრულებო ვალდებულებასთან შპს ,,მთავარი არხის“ მიმართ.
რაც შეეხება შპს ,,ნიუ სეილსის“ მიერ საზღვარგარეთ განხორციელებულ გადარიცხვებს, აქაც ყველაფერი მარტივადაა:
ა. საზღვარგარეთ თანხები ირიცხება შპს ,,მთავარ არხთან“ გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, ,,შპს მთავარი არხისვე“ ინტერესებისთვის;

ბ. საზღვარგარეთ შპს ,,ნიუ სეილსს“, შპს ,,მთავარი არხთან“ გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, თანხები გადარიცხული აქვს ტელეკომპანიის საჭიროებებისთვის, მაგალითად: GLOBO COMUNICACAO E PARTICIPACOES S/A (ტელესერიალებთან დაკავშირებული კომპანია), LIMITED LIABILITY COMPANY TB FORT (ტელეპორტთან დაკავშირებული კომპანია), AVIWEST SAS (სატელევიზიო ჩართვების ტექნიკური მომსახურების უზურნველყოფა);

გ. შპს ,,მთავარ არხთან“ გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე შპს ,,ნიუ სეილსის“ მიერ საზღვარგარეთ გადარიცხული თანხები სრულად წარმოადგენს შპს ,,ნიუ სეილსის“ შემოსავლებს და არანაირი კავშირი ამ თანხებს შპს ,,მთავარი არხის“ სალაროსთან არ აქვს.

ამასთან ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ შპს ,,ნიუ სეილსის“ სალაროს ბრუნვა მინიმალურია (თვეში დაახლოებით 2 000 ლარამდე), რაზედაც ბატონი გოგი ინფორმირებულია.

პოზიცია ტექსტის მე-8 პუნქტთან დაკავშირებით

შპს ,,მთავარ არხსა“ და შპს ,,ნიუ სეილსს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებებისა და დანართების შესაბამისად, შპს ,,ნიუ სეილსი“ ვალდებულია:
,,ვალდებულია, დროულად და სრულად მიაწოდოს ტელეკომპანიას ნებისმიერი ისეთი ინფორმაცია, რაც საქართველოს კანონმდებლობის (კანონი, კანონქვემდებარე აქტი) თანახმად წარმოადგენს მაუწყებლის მიერ დადგენილი წესით ამა თუ იმ დაწესებულებაში სავალდებულო წესით წარსადგენ ინფორმაციას, მათ შორის კომპანია ვალდებულია, არაუგვიანეს ყოველი თვის 16 რიცხვისა მიაწოდოს ტელეკომპანიას წინა თვის დეტალური ინფორმაცია, კომპანიის მიერ დამკვეთებისთვის გაწეული კლასიკური რეკლამის განთავსებისა, სასპონსორო მომსახურების და პროგრამაში

პროდუქტის განთავსების შესახებ (მათ შორის ინფორმაცია კომპანიის დამკვეთის თითოეული კლიენტისთვის (სარეკლამო მომსახურების საბოლოო ბენეფიციარი პირი)) შესაბამის პერიოდში გაწეული მომსახურების ღირებულების შესახებ.“

,,იმისათვის რომ ტელეკომპანიას ქონდეს სრული ინფორმაცია კომპანიის მიერ სარეკლამო მომსახურების გასხვისებასთან დაკავშირებით და შესაბამისად კომპანიის სარეკლამო შემოსავლებთან დაკავშირებით, წინამდებარე დანართით მხარეები ვთანხმდებით, რომ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდით ტელეკომპანია კომპანიას გადასცემს 2 (ორი) კომპიუტერს, რომელშიც ჩატვირთულია პროგრამა ტელეპორტი და კომპანია სარეკლამო მომსახურების გასხვისებასთან დაკავშირებით ისარგებლებს ტელეკომპანიის ტელეპორტით;

კომპანია კისრულობს ვალდებულებას, უზრუნველყოს კომპანიის შემოსავლის გამჭვირვალობა, რაც მათ შორის გულისხმობს შემდეგს:

ტელეკომპანიისთვის არაუგვიანეს ყოველი საანგარიშო თვის შემდგომი თვის 14 რიცხვისა ცნობილი უნდა იყოს კომპანიის მიერ თითოეული დამკვეთისთვის თითოეულ საანგარიშო პერიოდში თითოეულ ტელეარხის სამაუწყებლო ეთერით გაწეული სარეკლამო მომსახურების შესახებ მათ შორის ვალუტების ჭრილში გაგზავნილი შეტყობინების გზით, რომელშიც თანდართული იქნება ყველა შესაბამისი დოკუმენტაცია;

ტელეკომპანიისთვის არაუგვიანეს ყოველი საანგარიშო თვის შემდგომი თვის 14 რიცხვისა ცნობილი უნდა იყოს კომპანიის მიერ მიღებული თანხის ოდენობა, მათ შორის ვალუტების ჭრილში, ელ ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინების გზით, რომელშიც თანდართული იქნება ყველა შესაბამისი დოკუმენტაცია;

ტელეკომპანიისთვის ცნობილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია დამკვეთების მიერ სარეკლამო მომსახურების ღირებულების ანაზღაურების შესახებ, რაც განხორციელდა ურთიერთდავალიანებათა გაქვითვის ან წარმოქმნის, ან სალაროში ნაღდი ფულის სახით ამონაგების გადახდის ფორმით (ასეთი ფაქტის დადგომიდან დაუყოვნებლად). წერილობითი ფორმით, რომელშიც თანდართული იქნება ყველა შესაბამისი დოკუმენტაცია;

ტელეკომპანიისთვის ცნობილი უნდა იყოს დამკვეთების მიერ გაცხადებული ბიუჯეტები და მიღებული მომსახურების პირობები, შესაბამისი დოკუმენტაციის (მათ შორის ხელშეკრულება, შოპ ლისტი, დანართი და სხვა) ასლების ელექტრონული ფორმით გამოგზავნილი გზით.

ამ მუხლით გათვალისწინებული შემოსავლის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად კომპანია კისრულობს ვალდებულებას, ხელშეკრულების მოქმედების სრული ვადით უზრუნველყოს:

ტელეკომპანიის მუდმივი, სრულმასშტაბიანი წვდომა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის კომპანიის ელექტრონულ რეესტრში (www.rs.ge) (მხოლოდ ინფორმაციის ნახვის ფუნქციით); კომპანია აწვდის ტელეკომპანიას აღნიშნულ რეესტრში წვდომისთვის საჭირო რეკვიზიტებს წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისთვის: მომხმარებელი, პაროლი, ამასთან კომპანია უფლებამოსილია, მომხმარებლისა და პაროლის ცვლილება განახორციელოს მხოლოდ 1 დღით ადრე ტელეკომპანიისთვის ახალი მომხმარებლისა და პაროლის მიწოდების შემდეგ“.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ აღნიშნულ ვალდებულებებს შპს ,,ნიუ სეილსი“ ზედმიწევნით ასრულებს, შესაბამისად შპს ,,მთავარი არხი“, რომლის დირექტორიც არის ბატონი გოგი, ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას რა კონტრაქტებით, ინვოისებით და რა ფასად იყიდება “მთავარი არხის” სარეკლამო დრო. 2024 წლის 19 ივნისიდან ბატონ გოგის პირადად აქვს წვდომა ტელეპორტის პროგრამასთან (გააჩნია ინდივიდუალური მომხმარებლის ანგარიში).

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, შპს ,,ნიუ სეილსი“ მზადაა ბატონ გოგის მიაწოდოთ აღნიშნული ინფორმაცია, რაც უკვე ისედაც გააჩნია შპს ,,მთავარ არხს“ და პირადად მას. ეს ინფორმაცია წარმოებს უკვე რამდენიმე წელია, მისი ხელახლა მოწოდება გარკვეულ დროსთანაა დაკავშირებული, შესაბამისად ვიწვევთ ბატონ გოგის შპს ,,ნიუ სეილსის“ ოფისში, სადაც ექნება ამ ინფორმაციასთან წვდომისა და ასლების გადაღების შესაძლებლობა, შპს ,,ნიუ სეილსსა“ და შპს ,,მთავარ არხს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებებისა და დანართების ფარგლებში.

რაც შეეხება, ბატონ გოგის დაშვებას იმის შესახებ, რომ ,,არის თუ არა სარეკლამო დრო ხელოვნურად დაბალი ფასებით, არაპირდაპირი, შუალედური ფირმების მეშვეობით გაყიდული, შედეგად კი, “მთავარი არხისთვის” დიდი ფინანსური დანაკარგები, “ნიუ სეილსისა” და მასთან დაკავშირებული შუამავალი ფირმების, არაკეთილსინდისიერი ფინანსური სარგებლის გამო“, მივიჩნევ სრულიად უსაფუძვლო შეურაცხყოფად.
ნაცვლად დაუსაბუთებელი ბრალდებისა, ბატონ გოგის, როგორც შპს ,,მთავარი არხის“ ერთერთ დირექტორს კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ:
ა. შპს ,,ნიუ სელსს“ შპს ,,მთავარი არხისთვის“ ავანსად აქვს მიცემული მილიონ ნახევარ ლარზე მეტი;

ბ. შპს ,,ნიუ სეილსმა“ შპს ,,მთავარი არხისთვის“ ხელის გამართვის მიზნით ამ წლების მანძილზე ისესხა 230 900 აშშ დოლარი, 7 000 ევრო და 74 900 ლარი;
გ. შპს ,,ნიუ სეილსი“ შპს ,,მთავარი არხის“ ინკასოს გამო ვერ ითვლის 3 475 000 ლარის დღგ-ს;
დ. შპს ,,მთავარი არხის“ საჭიროებების უზურნველყოფის გამო შპს ,,ნიუ სეილსს“ არასოდეს გაუცია დივიდენდი;
ცალკე აღნიშვნის ღირსია შპს ,,ნიუ სეილსის“ მიერ 2022 წელს შპს ,,მთავარი არხისთვის“ გაწეული სიკეთე, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების მიხედვით შპს ,,ნიუ სეილსი“ უნდა იღებდეს სარეკლამო შემოსავლის 11 %-ს, შპს ,,მთავარი არხის“ თხოვნით შპს ,,ნიუ სეილსი“ ფარავს ილო ბეროშვილი შოუს ყოველთვიურ ხარჯს 40 000 ლარის ოდენობით, სწორედ 11 % შემოსავლის შემცირების ხარჯზე.
ამ ფონზე შპს ,,ნიუ სეილსის“ დადანაშაულება შპს ,,მთავარი არხისთვის“ ფინანსური დანაკარგის მიყენებაში და არაკეთილსინდისიერი სარგებლის მიღებაში, ნათლად მეტყველებს ეჭვის ავტორის მოტივაციაზე, ჩირქი მოცხოს კომპანიას, ჩააყენოს თავის მართლების რეჟიმში იმ დროს, როდესაც არათუ თავი აქვს სამართლებელი, არამედ მადლობას უნდა უხდიდეს შპს ,,მთავარი არხის“ თითოეული ხელმძღვანელი.
მიუხედავად დაუსაბუთებელი და ცილისმწამებლური ბრალდების ჩემს მიმართ სროლისა, საკითხის მორალურ ასპექტებს უფრო ღრმად აღარ შევეხები.

როგორც ხედავთ, შპს ,,ნიუ სეილსი“ დღიდან დაფუძნებისა მოქმედებს კეთილსინდისიერად და პარტნიორის - შპს ,,მთავარი არხის“ ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით, შესაბამისად ვიტოვებ იმედს, რომ მსგავსი არასწორი ინფორმაციის შემცველი, უსაფუძვლო ბრალდებებითა და არაკომპეტენტური მსჯელობით გაჯერებული ტექსტით აღარ მომმართავთ.